603ω 9309
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 თებერვალი, შაბათი, 1985 წ.
№ 22 (7833) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობა კრივში

მოლოდინი გამართლდა

მარტის შუა რიცხვებში პენზაში, სადაც მოკრივეთა ოლიმპიური მზადების ცენტრია შექმნილი, ჩატარდება საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ახალგაზრდული გუნდების პირველობა კრივში. გარდა იმისა, რომ თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა ახალგაზრდა სპორტსმენთა ცხოვრებაში, ეს შეჯიბრება რამდენიმე მიზანსაც ისახავს. ძირითადი ამოცანა გახლავთ კანდიდატთა შერჩევა ქვეყნის პირველი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისთვის, რომელთაც ბევრი უმაღლესი რანგის ტურნირი ელით, მათ შორის — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები.



პენზაში, თუ მანამდე არაფერი შეიცვალა, საქართველოს ღირსებას 16 მოკრივე დაიცავს. მათგან რამდენიმე ამ შეჯიბრებისთვის „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ნაკრების შემადგენლობაში მოემზადება.

— **მაინც ვინ იგულისხმება ამ რამდენიმე სპორტსმენში?** — ვკითხეთ „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა მოკრივეთა პირველობის დამთავრებისთანავე ამ საზოგადოების მთავარი ნაკრების უფროს მწვრთნელს ვლადიმერ გიტლინს.

— რა თქმა უნდა, ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ოთხივე მოკრივე, თუმცა კიდევ ერთ-ორ ყმაწვილს დავადგით თვალი... ისე კი ყოველ დიდ ტურნირში ორი ოქროს მედალი თქვენზეა... — თუმცა, ძაგანიასა და ხდრიანს, მე მგონი, ურეკაძე და სეთურიც მალე ამოუდგებიან მხარში...

როგორც იცით, გუშინწინ ფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. საბედნიეროდ, მოლოდინი გამართლდა: ჩვენმა მოკრივეებმა მართლაც დიდი წარმატება მოიპოვეს. ხუთი შეხვედრიდან ოთხი მათ მოიგეს. 48 კგ წონით კატეგორიაში, ალბათ გახსოვთ, პირველი ადგილის ბედი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების, თბილისელი მოკრივეების გრიგოლ ძაგანიას (მწვრთნელი თამაზ კუპავა) და რუდიკ კაზანჯიანის (გარი ხაჩატუროვი) ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ძაგანიამ.

მათ შემდეგ რინგზე უხმეს გენადი სეროფიანს (საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სკოლა, მწვრთნელი რუბენ ანანაზაროვი) და რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრს ანდრეი იორკინს (51 კგ). იორკინმა შეხვედრა თავბრუდამხვევი იერიშებით დაიწყო და ხელთ იგდო ინიციატივა. მართალია, გენადი მალე გამოერკვა და შეტევაზე გადავიდა, მაგრამ მეტოქეს მაინც ვერ აჯობა.

ჩვენ ვწერდით, რომ ხვიჩა ხდრიანს (თბილისი, მწვრთნელი გარი ხაჩატუროვი) ლიტველ თადეუშ პავლიუკოვიჩთან (54 კგ) გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა. ასეც მოხდა, პირველ და მეორე რაუნდებში ხვიჩამ ორჯერ ჩააგდო ლიტველი მოკრივე ნოკდაუნში. ხდრიანის აშკარა უპირატესობის გამო მსაჯებმა ორთაბრძოლა შეწყვიტეს.

ზაზა ურეკაძემ (თბილისი, მწვრთნელი იური შეპეტკოვი) თანმიმდევრულად წარმართა შეხვედრა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელ ალექსეი პოპოვთან (60 კგ) და გაიმარჯვა კიდეც.

ნიკა სეთური (საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სკოლა, მწვრთნელი რუბენ ანანაზაროვი) პროფტექსასწავლებლების XVII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონს, ლენინგრადელ ვიაჩესლავ ნოსოვს (91 კგ) ხვდებოდა. ბრძოლა ქართველი სპორტსმენის დიდი უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ პირველ რაუნდში სეთურმა შემთხვევით ერთი ძლიერი დარტყმა „გაუშვა" და ნოკდაუნში აღმოჩნდა, რამაც თითქოს კიდევ უფრო წააქეზა მძაფრი ბრძოლისთვის.

გაგაცნობთ სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებულებს: 57 კგ — ალექსეი რისკოვი, 63,5 კგ — ოლეგ ხარლანჩიევი, 67 კგ — იური კირილინი (სამივე — რსფსრ), 71 კგ — ვალერი დენისენკო (უკრაინა), 75 კგ — ალექსანდრე ნოვოლოკინი (რსფსრ), 81 კგ — ნიკოლაი სადოვსკი (ლატვია), 91 კგ-ს ზევით — იგორ დანჩენკო (უკრაინა).

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიდან მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 51 კგ — ტიგრან უზლიანი (სოხუმი, მწვრთნელი აშოტ მინასიანი), 54 კგ — აკოფ არუთუნიანი (თბილისი, მწვრთნელი გარი ხაჩატუროვი), 63,5 კგ — ემზარ გაბუნია (სოხუმი, მწვრთნელი ნოდარ კვირკველია), 75 კგ — ბესიკ ჯალაღონია (რუსთავი, მწვრთნელი ნიკოლოზ კვარაცხელია), 91 კგ-ს ზევით — სამველ ვარდიკიანი (თბილისი, მწვრთნელი ავთანდილ ჯავახიშვილი).

ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც აღნიშნულია, რამდენი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს შეჯიბრების მონაწილე რესპუბლიკებმა და ქალაქებმა:

	I	II	III
რსფსრ	5	5	9
საქართველო	4	2	5
უკრაინა	2	—	2
ლენინგრადი	—	1	2
ლატვია	1	1	—
მოსკოვი	—	1	1
ყაზახეთი	—	1	1
სომხეთი	—	1	—
აზერბაიჯანი	—	—	2
ბელორუსია	—	—	1
ყაზახეთი	—	—	1

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია: საქართველოს მოკრივეთა წარმატება უდავოა, მით უმეტეს, რომ მათი მთავარი მეტოქეები იყვნენ პროფტექსასწავლებლების XVII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები, ქვეყნის პირველობებში გამარჯვებული სპორტსმენები. თუმცა ტიტულები არც ჩვენი გუნდის ლიდერებს აკლდათ. ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ მათ ეს თვალსაჩინო გამარჯვება და მომავლისთვის კიდევ უფრო დიდი წარმატებები ვუსურვოთ.

• • •

სურათებზე: გრიგოლ ძაგანიასა (მარჯვნივ) და რუდიკ კაზანჯიანის (მარცხენა ფოტო) შეხვედრა; ხვიჩა ხდრიანისა (მარჯვნივ) და თადეუშ პავლიუკოვიჩის ორთაბრძოლა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



გუშინ...

9 ქვეყნის 156 ფალავანი მონაწილეობს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა XXIV საერთაშორისო ტურნირში, რომელიც გუშინ დაიწყო თბილისის სპორტის სასახლეში. დილით პირველი წრის შეხვედრები გამართეს ათივე წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა. სულ 17 ქართველი სპორტსმენი გამოვიდა ხალიჩაზე,. მათგან ცხრამ გაიმარჯვა.

ყველაზე სწრაფად რაზმაძე-ნეჩის (90 კგ, პოლონეთი) ორთაბრძოლა დამთავრდა. ახალგაზრდა თბილისელმა მოჭიდავემ, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავს, 25 წამში ბეჭებზე გააკრა მეტოქე. ასევე წმინდა გამარჯვება მოიპოვა დავით გიგაურმა (68 კგ) ამერიკელ რეიესთან შეხვედრაში. ქულებით გაიმარჯვეს ავთანდილ გოგოლაშვილმა (82 კგ), გივი ქენქაძემ (68 კგ), გია ოქროპირიძემ (82 კგ), ჯემალ ტარიელაძემ (+100 კგ). მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ჩემპიონის, ტაშკენტელი არსლან ხადარცევისა (100 კგ) და თბილისელი ლერი ხაბელოვის პაექრობამ. ჩვენი ფალავანი დიდი მონდომებით იბრძოდა და ქულებით (3:2) დაამარცხა მეტოქე. საინტერესო გამოდგა მძიმე წონის ათლეტების, თბილისელი დავით გობეჯიშვილისა და დონეცკელი ნიკოლაი კუჩერის პაექრობა. თავიდან კუჩერი დაწინაურდა, მაგრამ მეორე პერიოდში სამი გაფრთხილება დაიმსახურა და ამიტომ გამარჯვება გობეჯიშვილს მიეკუთვნა.



პირველივე წრეში ხელი მოეცარა თბილისის ტრადიციული ტურნირის შარშანდელ ჩემპიონს, თბილისელ ზურაბ ტატუაშვილს (52 კგ). მან ქულებით დათმო შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთან ელმან მამედოვთან.

დღეს გაგრძელდება წინასწარი შეხვედრები, ხვალ კი ტურნირის ლაურეატები გამოვლინდებიან.

(შეჯიბრების დაწვრილებით ანგარიშს „ლელოს" მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ).

ინფორმაცია

ზენფტენბერგი. გდრ-ის ამ ქალაქში გაიმართა მძლეოსანთა ტურნირი (დახურულ შენობაში). შვიდჭიდში (ვაჟთა შორის) მსოფლიოს მიღწევა გააუმჯობესა გდრ-ის ერთ-ერთმა საუკეთესო ათჭიდელმა, 21 წლის ტორსტენ ფოსმა — 6114 ქულა. ხუთჭიდელ ქალთა ასპარეზობა მოიგო 19 წლის სიბილე ტილემ (გდრ) — 4632 ქულა.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე იან ლეიტნერმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 8 მ. 05 სმ, რაც ევროპის მასშტაბით მიმდინარე სეზონში (დახურული დარბაზებისთვის) საუკეთესო მაჩვენებელია.

ოსაკა. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ოსაკის ქალთა მეოთხე მარათონი. გაიმარჯვა 25 წლის ირლანდიელმა სტუდენტმა კერი მეიმ — 2:28.07,0. მეორე შედეგი ჰოლანდიელ კარლა ბერსკენსს აღმოაჩნდა — 2:31.11,0. იტალიელი რიტა მარჩიზიო ფინიშთან მესამე იყო — 2:36.21,0.

სან-სებასტიანი. ტრადიციული საერთაშორისო კროსი, რომელიც ესპანეთის ამ ქალაქში ჩატარდა, ეთიოპიელმა ვოდაგო ბულტიმ მოიგო. 10-კილომეტრიანი დისტანცია მან 31.17,2 გაირბინა. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი მოჰამედ კედირი — 31.17,6.

შარტრი (საფრანგეთი). ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ტრადიციულ მძლეოსნურ კროსში, მაგრამ სპეციალისტთა აღიარებით მთავარი ფავორიტი მაინც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იტალიელი ალბერტო კოვა იყო. მან გაამართლა ნდობა — 10 კილომეტრიან დისტანციაზე საკმაოდ მაღალი შედეგით (39.12,0) პირველი ადგილი დაიკავა.

ათენო, შორეული ფარსალიადან

ფეხბურთზე წერა ძნელია; მით უმეტეს — ფეხბურთელზე; კიდევ უფრო მეტად — ცნობილ ფეხბურთელზე, რომელიც გულშემატკივართა რამდენიმე თაობას ახსოვს. დაწერ, წინასწარაც ბევრს იფიქრებ, ათასნაირად გაიაზრებ და ისე გადაიტან ქაღალდზე, მაგრამ.... არა, ისე მაინც არ არის, როგორც უნდა იყოს. ძალაუნებურად ფიქრობ შენი ნაწერის წამკითხველზე, კაცზე, რომელსაც შენსავით გულწრფელად უყვარს ფეხბურთი, თუმცა... არ ეთანხმება და არ იზიარებს შენს მიერ გამოთქმულ აზრს.

ასეთი ხვედრი ემუქრება ხშირად საფეხბურთო თემაზე შექმნილ რეცენზიას, წერილსა თუ ნარკვევს. ძალაუნებურად დააპირებ შენს ფანტაზიას ფრთები შეაჭრა, ისე დაწერო, როგორც აბსტრაქტული მკითხველი იფიქრებდა, მაგრამ... არა, შეუძლებელია. მე მაინც მირჩევნია ფეხბურთელ გაიოზ ჯეჯელავას ჩემეული ჟურნალისტური პორტრეტი შევქმნა. რა ვუყოთ, თუ იგი არ ემგვანება ზოგიერთი გულშემატკივრის წარმოსახვაში შექმნილ სურათს; ყველას თავისი გზა აქვს, ყველა თავისებურად აღიქვამს ცხოვრებასაც და ფეხბურთსაც...

გაიოზ ჯეჯელავა



მე კი ძალიან მინდოდა დამეწერა წერილი კაცზე, რომელსაც პატივს ვცემ, რომელიც ჩემთვის განასახიერებს ქართული ფეხბურთის რომანტიკულ წარსულს და საკუთარი პრინციპებისთვის მედგრად მებრძოლ პიროვნებას.

ურიცხვი ადამიანის წარმოდგენაში იგი დღემდე რჩება ყოვლისშემძლე ფეხბურთელად: განთქმული მარჯვენა გარემარბი ფინტებითა და ცრუ მოძრაობით, მახვილგონივრული აზროვნებით, ორიგინალური საფეხბურთო სვლებით, ენერგიით, მიზანსწრაფვით. ასეთი იყო მოედანზე ტანმორჩილი თბილისელი ფორვარდი. მისი სტიქია იყო შეუკავებელი, უწყვეტი იერიში. არასოდეს — არც მაშინ, 30-40-იან წლებში, არც მოგვიანებით, იგი არ სცნობდა დაცვით ტაქტიკას, საფეხბურთო „ბეტონს", კლიტედადებულ საჯარიმო მოედნებს.

„დაცვას გინდა „ბეტონი" უწოდე, გინდა „კარჩქვა", სულ ერთია, იგი უნდა დაინგრეს, დაიშალოს, დაიმსხვრეს — ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თავბრუდამხვევი შეტევით. ფეხბურთი თავისი ბუნებით ვერ ჰგუობს დაცვით ტაქტიკას. მისი უპირველესი ფუნქციაა შეტევა და კიდევ შეტევა. იმარჯვებს ის, ვინც გონივრულად და უკეთ უტევს. თბილისის „დინამო" მუდამ იერიშისათვის იყო გამზადებული. თავსაც ვიცავდით, რა თქმა უნდა, მაგრამ იძულებით: იმ წუთებშიც მეტოქის კარი გვიტაცებდა, იერიში გვწყუროდა. სწორედ თამაშის გაბედულმა, მოიერიშე სტილმა დაუმკვიდრა ჩვენს „დინამოს" ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის სახელი. მისი ძალა ორიგინალური, ყველასაგან განსხვავებული მანერა იყო და თავის საუკეთესო პერიოდებში არასოდეს უცდია ვინმესთვის მიებაძა. თვით თბილისელი მცველებიც კი სიამოვნებით უტევდნენ და იერიშში ეძებდნენ ნამდვილ კმაყოფილებასა და შთაგონებას. ვითამაშოთ მეტწილად მეტოქის ნახევარზე! — ასეთი უნდა იყოს ქართული ფეხბურთის დევიზი..."

ეს არის გაიოზ ჯეჯელავა, ასეთი გახლდათ მისი თამაშის სტილი და საფეხბურთო კრედო. ამ პრინციპების ერთგულება იყო უმთავრესი, რისთვისაც მაყურებელმა შეიყვარა იგი. მაგრამ იერიშიც არის და იერიშიც. მისი თანაგუნდელებისა და ფეხბურთის ქომაგების მახსოვრობაში გაიოზ ჯეჯელავა ზედმიწევნით მახვილგონივრულ ფეხბურთელად რჩება; აი, იგი მიემართება მეტოქის საჯარიმო მოედნისაკენ და მოულოდნელად „უპატრონოდ" ტოვებს ბურთს, რათა გაოგნებული მცველი სულ სხვა მხარეს გაიტყუოს და თვითონ მაშინვე ისევ ბურთთან დაბრუნდეს: კარისაკენ გზა ხსნილია. აი, გაიოზ ჯეჯელავა პაუზას აკეთებს, მერე ელვის უსწრაფესად ბურთს მცველის გასწვრივ ურტყამს, თავად საწინააღმდეგო მხრიდან უვლის და... სადღაა მცველი: მან ბურთიც დაკარგა და გაიოზ ჯეჯელავაც. ბურთი და გაიოზ ჯეჯელავა უკვე მეკარის პირისპირ რჩებიან; აი, გაიოზ ჯეჯელავა ლამის კუთხურის ალამთან გაჭრილა, პირითი ხაზით მიიკვლევს გზას, მცველები გულარხეინად არიან — აქედან ეშმაკიც ვერ შეაგდებს ბურთს, მაგრამ... მოჭრილი „საფირმო" დარტყმა, ბურთი ხმელი ფოთოლივით უცნაურ ირაოს აკეთებს, სცდება სახტად დარჩენილ მეკარესაც და ნება-ნება ეშვება ბადეში; გაიოზ ჯეჯელავა დიდი სისწრაფით მიექანება, უკან იტოვებს მცველებს, რომლებიც ამაოდ ცდილობენ ფეხი გამოსდონ და წააქციონ. იგი მთელი ტანით იხრება პარტნიორისაკენ, ყველანაირად მაინიშნებს, პასს გაწვდით, მაგრამ... უცებ სრულიად საწინააღმდეგო მხარეს იხრება, ბურთს არავის არ აწვდის და მოტყუებული მცველების ზურგს უკან თავის საქმეს აკეთებს; ტანმორჩილ ჯეჯელავას, რომელსაც ხმელეთზე ძნელად თუ ვინმე სჯობდა, წესით და კანონით საჰაერო ბრძოლები უნდა წაეგო ტანმაღალ მცველებთან. მაგრამ საჯარიმოში ჩამოწოდებული თითქმის ყველა ბურთი მისი ნადავლი ხდებოდა. უბრალოდ, მან ტანმაღალ მეტოქეებზე უკეთ იცოდა, სად და როდის დახვედროდა ჰაერში დაკიდებულ ბურთს. აი, გაიოზ ჯეჯელავას კარის ზედა ძელამდე აუტანია ფეხი და იქ, ჰაერში ცდილობს ბურთის დამორჩილებას...

ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია მისი ამოუწურავი საფეხბურთო არსენალისა. ყველაფერი სრულდებოდა ლაზათიანად, არტისტულად, ტექნიკურად და, რაც მთა[illegible] სისწრაფით. „ოქმის სტილი", რომლის გამოყენებასაც ზემოთ შევეცადეთ, მხოლოდ მიახლოებით გამოხატავს გაიოზ ჯეჯელავას უაღრესად მახვილგონივრული და ორიგინალური თამაშის ელვარებას.

„მეტოქემ იცის, ვინა ხარ, რა ღირსება გაქვს, რა ნაკლი, რითი სჯობიხარ, რას უმზადებ. ერთი სიტყვით, წინასწარ მთელი დოსიე აქვს შენზე შედგენილი. თითქოს სად წაუხვალ, თითქოს ხელში ჰყავხარ ჩაჭერილი და უნდა დანებდე. მაგრამ... მაინც შენ იმარჯვებ; ხომ ყველაფერი იცის შენზე, გამარჯვება ორთაბრძოლაში, სულ ერთია, მაინც შენ გრჩება; აი, ეს არის ვარსკვლავი".

ის თვითონ იყო ვარსკვლავი. ფეხბურთელი, რომელსაც არასოდეს უცდია გამოეწვია მაყურებლის აღტაცება თვითმიზნური, კომიკური საფეხბურთო ელემენტებით (თუმცა ერთხელ მაინც მოეცარა ხელი და ის შემთხვევა დღემდე უსიამო მოგონებად დარჩა. ეს იყო დონბასში, 50 წელზე მეტი ხნის წინ, როცა რკინიგზელთა გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ყველა მოატყუა მეკარის ჩათვლით, მოიხედა, ბურთი კარის ხაზთან შეაჩერა, ჩაიჩოქა და ბურთი თავით შეაგორა ბადეში. მაშინ მსაჯმა მოედნიდან გააძევა არაეთიკური საქციელისათვის, ხოლო მან უსიტყვოდ მიიღო სასჯელი). ფეხბურთი მისთვის იყო თამაში, რაინდული თამაში და არა თვითმიზნური საცირკო ტრიუკები. თითოეული მოძრაობა, ფინტი თუ დარტყმა მხოლოდ და მხოლოდ გუნდის ინტერესებისთვის იყო გამიზნული და არა ამაო ეფექტის მოსახდენად.

„თუ ვინმე მიყურებდა, არასოდეს მიფიქრია მატჩის დროს. არასოდეს დავხარბებივარ აპლოდისმენტებს. ეს ხელოვნურად არ მიცდია".

თუმცა მან უნებურად მაინც მოსწყვიტა პირველი ტაში იმპროვიზებულ ტრიბუნებს, როცა 13 წლის ყმაწვილი იყო (თუ ტრიბუნებად შეიძლება ვიგულოთ მე-8 შრომის სკოლის ფანჯრები, ხოლო მაყურებლებად — იქიდან მაცქერალი გოგონები). ის მატჩი არ ავიწყდება. მიუხედავად იმისა, რომ... მართლაც რამდენ ხანს გაუვლია — 57 წელს! ასეთი დიდი დროის მიუხედავად, მას მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი მეხსიერებაში თავისი პირველი „ოფიციალური" მატჩის თვით უმნიშვნელო დეტალებიც კი.

„სკოლის ეზოში ვთამაშობდი ჩემზე გაცილებით უფროს, 19-20 წლის ბიჭებში. გოგონები ფანჯრიდან გვიყურებდნენ და რამდენ ფინტსაც გავაკეთებდი, იმდენჯერ ტაშისცემით იკლებდნენ იქაურობას. უკვირდათ, ეს თითისტოლა ბიჭი უფროსებს რას უშვრებაო. ზოგიერთი ჩემი იმჟამინდელი მაყურებლის გვარი დღემდე მახსოვს: თამარ ფარცხალაძე, თამარ გოგოლაძე, ელიკო გვაზავა, ვერა გიგიაძე, ქსენია იმნაძე..."

ასე შეამჩნიეს, მართალია, სკოლის ეზოში, მაგრამ მაინც, მისი თამაში პირველმა მაყურებლებმა და ალბათ არც მთლად კმაყოფილმა უფროსმა ბიჭებმა; მაგრამ საინტერესოა, როგორ აღმოაჩინა გაიოზ ჯეჯელავა პრესამ.

„თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს იყო 1933 წელს. თბილისში ცეკავშირის გუნდთან (ტსპო) სათამაშოდ ჩამოვიდა ხარკოვის ნაკრები. იმ მატჩში მეც გამოვდიოდი, მაგრამ მხოლოდ ერთი ტაიმი ვითამაშე. გოლი გავიტანე, მერე ფეხი ვიტკინე და კოჭლობით მივედი შინ. მამა მეკითხება — სად იყავიო. სამეცადინოდ-მეთქი. მეორე დღეს მამა მეძახის და ისევ მეკითხება, გუშინ სად იყავიო. გამიკვირდა, აკი გითხარი, სამეცადინოდ-მეთქი. აი, როგორ გიმეცადინიაო, მეუბნება და მიჩვენებს გაზეთ „მუშას". იქ ეწერა, ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, გაიოზ ჯეჯელავა — კარგი მომავალი აქვსო. კიდევ რა მახსოვს იმ მატჩიდან? ხარკოველმა მცველმა დამატვრია და მერე ეს ტრავმა წამდაუწუმ მიხსენებდა ხოლმე".

აღიარება შედარებით გვიან მოვიდა. თბილისის „დინამო" არასოდეს ყოფილა ის გუნდი, სადაც ახალბედას ერთბაშად უცხადებენ ნდობას.

„1938 წელია. მოსკოვის „ტორპედო" დიდი სახელით დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც თვით „რესინგს" მოუგო. ჩვენ მოსკოვში ვეთამაშებით „ტორპედოს". მატჩის წინ მწვრთნელები და კაპიტანი შოთა შავგულიძე ბჭობენ, ეს ბიჭი გუნდში დავაყენოთ თუ არაო. ზოგი ამტკიცებდა, გამოუცდელია, დაიბნევა და ვერ ითამაშებსო. ეს საუბარი მესმის და სული კბილით მიჭირავს — აბა, დამაყენებენ თუ არა-მეთქი. ბოლოს გადაწყვიტეს, მოდი, ვცადოთ და გამოვიყვანოთ".

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდა მღელვარებისაგან ერთიანად გადაფითრებული ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელიც პირველად გამოიყვანეს უცხო მოედანზე. მაგრამ, ალბათ, ნიჭი მაინც ნიჭია და, ეტყობა, ახალგაზრდა ფეხბურთელი მალე მოერია თავს, რადგან მესამე თუ მეხუთე წუთზე ბურთი გაიტანა. ამას არ დასჯერდა და თითო ბურთი მისი გადაცემით გაიტანეს მიხეილ ბერძენიშვილმა და ბორის პაიჭაძემ. „დინამო" იგებდა — 3:0, მაგრამ მოსკოველებმა გაუთანაბრებიათ ანგარიში („თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბოლო 7 წუთში გაქვითეს სამივე ბურთი").

ერთი სიტყვით „ტორპედოსთან" მატჩში გაიოზ ჯეჯელავამ საბოლოოდ დაარწმუნა ყველა, რომ იგი „სადინამოე" კაცი იყო. ამ გზით მოვიდა მასთან ნამდვილი აღიარება. იმავე წელს მისი მაღალი ოსტატობა ირწმუნა საკავშირო საფეხბურთო საზოგადოებრიობამაც. ახლა სეზონის ბოლოს 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია რომ ქვეყნდება, მაშინ 55 ფეხბურთელი დაასახელეს და გაიოზ ჯეჯელავა თავის ადგილზე ანუ მარჯვენა გარემარბებში პირველ ნომრად დაასახელეს! ასე იკვლევს ნიჭი გზას.

მანამდე იყო მატჩი ბასკებთან.

„პირველად მეთამაშე საქართველოს ნაკრებში, ისიც განთქმულ ბასკეთის გუნდთან. დამაყენეს მარცხენა გარემარბად. მართალი გითხრათ, პირადად მე ბევრი არაფერი გამიკეთებია ამ თამაშში, რომელიც მხოლოდ ერთი კურიოზით დამამახსოვრდა: მოვატყუე რამდენიმე მცველი, დავარტყი, მაგრამ ბურთი კარს აცდა და გოლის გატანის ნაცვლად რეპორტიორის ფოტოაპარატი დავუმსხვრიე".

მაგრამ გაიოზ ჯეჯელავას საფეხბურთო ბიოგრაფიაში ალბათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეტად ცნობილ მატჩს: თბილისის „დინამო" — ცდკა. ეს ის მატჩია, რომლის შესახებ ყველამ ვიცით, მაგრამ მაინც საინტერესოა მისი უშუალო მონაწილის შთაბეჭდილება.

„1939 წელი. ცდკა-ს ვუგებთ 1:0, მაგრამ პირველი ტაიმი, 1:4 წავაგეთ. რამდენი ბურთიც გავიდოდა კარში, იმდენჯერ დასცხებდა „ტუშ" ორკესტრი. მეორე ტაიმში ოთხჯერ დავაკვრევინეთ ტუში ორკესტრს — 5:4 მოვიგეთ! 4:4 რომ გახდა, ცდკა მაგრად გვიტევდა. ამ დროს მივიღე პასი, გავედი მარჯვენა ფლანგზე, მოვატყუე ორი მცველი და ისე ავჭერი ბურთი, რომ ერთი შეხედვით თითქოს კარს უნდა გადასცდენოდა, მაგრამ... მოულოდნელად ბადეში აღმოჩნდა. ისე კი, მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე დიდი შიში გვაჭამა ფედოტოვმა: დაახლოებით თერთმეტმეტრიანის ადგილიდან დოროხოვთან ერთი-ერთზე გასულმა ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ იმარჯვა ჩვენმა მეკარემ, გაშლილი ხელებით ახტა მაღლა და... ბედად, ბურთი მუხლზე მოხვდა და კუთხურზე გავიდა".

...ფეხბურთი მისთვის ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც პირველად შემოიჭრა ახალბედა ყმაწვილი მწვანე მინდორზე. ეს იყო მისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიყვარულიც და ყველაზე დიდი გატაცებაც. მაგრამ რაკი ერთხელ გადაწყვიტა ფეხბურთთან განშორება, მერე უკვე აღარ გადაუთქვამს. შეძლო კი კავშირის გაწყვეტა თავის უპირველეს სიყვარულთან?

„მე მინდოდა ისე წავსულიყავი ფეხბურთიდან, რომ მაყურებელი ბოლომდე ჩემი მადლიერი ყოფილიყო. ძნელია ეს, საკუთარ თავზე გამოვცადე, მაგრამ აუცილებელი. სპორტსმენს უნდა შეეძლოს დროულად წასვლა, ვიდრე ამის საჭიროებას სხვები აგრძნობინებენ. მე წაველი საკუთარი სურვილით... თბილისის 35-ე სკოლაში. ვმუშაობდი უფროს მწვრთნელად. ეს იყო ჩემი შეგნებული ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო წლები. თითქოს ქართული ფეხბურთის თავანკარა სათავესთან ვიდექი".

მაგრამ ის მაინც დაუბრუნდა ერთხელ თავის საფიცარ გუნდს — თბილისის „დინამოს". ოღონდ, როგორც უფროსი მწვრთნელი, ორი წელი დაჰყო ამ გუნდის საჭესთან. ეს დროც მისი ბიოგრაფიის ძვირფას და განუყოფელ ნაწილად იქცა (საქართველოს ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით 1956 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

თბილისი... ამ ქალაქის ქუჩებში დადის ეს ღვაწლმოსილი კაცი თითქმის... თითქმის კი არა, უკვე სამოცდაათი წელია. შვიდი ათეული წელი, რომელთაგან ნახევარზე მეტი ქართული ფეხბურთის სამსახურს შეალია.

...მაინც რა დრო გასულა! გაიოზ ჯეჯელავასთან ერთად წლები მოემატათ, რა თქმა უნდა მის ყველაზე ერთგულ გულშემატკივრებსაც, რომლებსაც ახსოვთ მისი თამაში, ახსოვთ და დღესაც ფინტების ჯადოქარს ეძახიან სწორუპოვარ ფეხბურთელს.

ბაქოს ქუჩაზე, მზეში, მირბის პატარა ბიჭუნა და მარჯვენა ფეხსაცმლის მოცვეთილი წვერით „მოერეკება"... ქვას. ბურთი არ არის. ბურთი მას დახვდება დღევანდელი მუსკომედიის მიდამოებში, სადაც ბაქოს, ბორჯომისა და გოგოლის ქუჩების ბიჭებს მომცრო მოედანი აქვთ შეგულებული.

ასე ივლის ფეხბურთზე თავდავიწყებით შეყვარებული ყმაწვილი თავის ქვით ბაქოს ქუჩიდან კამოს ქუჩაზე მდებარე ინდუსტრიულ ტექნიკუმამდე, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ფანჯრიდან მაცქერალი გოგონები აღტაცებით არ დაუკრავენ ტაშს და თითქოს ამ ტაშით არ შეიყვანენ ახალ სამყაროში. ამ სამყაროში იტრიალებს იგი 1948 წლამდე, რათა მაყურებელმა დიდი ფეხბურთიდან ტაშითვე გააცილოს.

არჩილ გოგელია.

სურათებზე: ზევით — მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დაწყებამდე, როცა გუნდები ერთმანეთს მიესალმნენ, ბაფთიანი მოსკოველი გოგონა გამოვიდა მწვანე მინდორზე და ყვავილები მიართვა გაიოზ ჯეჯელავას; ქვემოთ — თბილისის „დინამოს" მარჯვენა გარემარბი თავის ამპლუაში.

სამბოს ილეთი შუაღამისას...

ტელევიზიამ მთელს ქვეყანას მოსდო ამბავი. გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის პირველმა მოადგილემ, მილიციის კაპიტანმა თამაზ სახვაძემ შეიარაღებულ ავაზაკს „ფარ-ხმალი დააყრევინა“. სიკვდილს გადაარჩინა ტაქსის მძღოლი. მერე სახვაძის ფოტოსურათიც გვიჩვენეს...

ბიჭო, ეს ხომ ჩვენი თამაზ სახვაძეა, სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მოთამაშე, მცველი!

მეორე დღეს თამაზი რედაქციაში მოვიწვიეთ.

—ისეთი არაფერი გამიკეთებია, ალბათ ყველა ასე მოიქცეოდა, მით უფრო მილიციის მუშაკი.

მაინც რა მოხდა იმ ღამით, 14 იანვარს?

...დამქანცველი მორიგეობის შემდეგ კაპიტანი თამაზ სახვაძე სახლში ფეხით ბრუნდებოდა: ცოტას გავივლიო ჰაერზე, გაჩერებამდე მაინც.

ისრები ღამის 12 საათს გადასცილებოდა. ცენტრალურ ქუჩაზე გავიდა — ავჭალის გზატკეცილზე. შუა ქუჩაში ტაქსი იდგა. მანქანიდან უცებ მძღოლი გადმოხტა, შეშინებული გამოიქცა სახვაძისაკენ: მიშველეთ, მკლავს. ბებუთი აქვს!

კაპიტანი აჩქარებით მიუახლოვდა მანქანას. უკანა სავარძელში 16-17 წლის გოგონები ისხდნენ. წინ კი...

მოდით თვითონ თამაზ სახვაძეს მოვუსმინოთ:

— ჩამოდი! — ვუბრძანე მოძალადეს. დამიჯერა, ზლაზვნით გადმოვიდა, ხელები კი უკან ჰქონდა, ეტყობა მართლაც ეჭირა რაღაც. დააგდე ძირს! — შევძახე ხმამაღლა. არ დამემორჩილა და ჩემსკენ წამოვიდა სწრაფი ნაბიჯით. მომიახლოვდა თუ არა, ბებუთმომარჯვებულ ხელში ვწვდი და გადავუგრიხე... აი, სად გამომადგა სამბოს გაკვეთილები! იარაღი ხელიდან გავაგდებინე და მიწაზე დავანარცხე. ტაქსისტიც წამომეშველა და „მგზავრი“ მილიციის განყოფილებაში მივიყვანეთ. ეს იყო და ეს...

მძღოლი სამამულო ომის მონაწილე გამოდგა, შრომის ვეტერანი. თბილისის № 2 ტაქსომოტორის თანამშრომელი ნიკოლოზ გვარამაშვილი. „მგზავრმა“ თურმე ზაჰესში მოინდომა წასვლა, როდესაც უარი მიიღო, ბებუთი ამოიღო და გვერდში მიაბჯინა. გზაში მანქანაში გოგონები შემოერთებიან (მძღოლს უფიქრია. ეგებ მოძალადემ ახლა მაინც დამანებოს თავიო, მაგრამ ნურას უკაცრავად) — წავიყვანოთ ესენი საბურთალოზე, მერე კი ზაჰესში წავიდეთ — თავისას არ იშლიდა თურმე ჯიუტი მოძალადე.

— თამაზი ჩვენთან ხუთი წელიწადია მუშაობს, — ამბობენ მისი კოლეგები — ჯერ ქვეგანყოფილების უფროსი იყო, სამიოდე თვის წინ პირველ მოადგილედ დააწინაურეს. მილიციაში იგი უკვე 15 წელიწადია მსახურობს, დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი. კარგი, დაკვირვებული, ენერგიული მუშაკია, პატიოსანი, განათლებული კაცი, გემახსოვრებათ რა კარგად თამაშობდა ფეხბურთს.

...1962-66 წლებში ახალგაზრდა ნიჭიერი მცველი თამაზ სახვაძე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა. იგი სათადარიგო შემადგენლობის კაპიტნად აირჩიეს. დაცვის ნამდვილი ბურჯი იყო, მეტწილად ცენტრში, ზოგჯერაც მარჯვენა მცველად გამოდიოდა. 35-ე სკოლაში აიდგა ფეხი, შოთა მერკვილაძე იყო მისი პირველი დამრიგებელი. მერე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში შეიყვანეს, ნიაზ ძიაპშიპა რომ ავარჯიშებდა. 1959 წელს ამ გუნდმა საკავშირო ტურნირზე, მოსკოვში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა უკრაინისა და მოსკოვის ნაკრებთა შემდეგ. სახვაძესთან (იგი მაშინ ნახევარდაცვაში გამოდიოდა) ერთად თამაშობდნენ მურთაზ ხურცილავა, მამული იაშვილი, ომარ სირაძე, ზაურ ბულია, დემურ მიქაძე და სხვები. სხვათა შორის, სწორედ მაშინ მიუჩინეს პირველად მარჯვენა ნახევარმცველ მურთაზ ხურცილავას სტოპერის ადგილი და მალე იგი საკავშირო ჭაბუკთა ნაკრებში მოხვდა.

მერე სახვაძე ჭიათურის „მაღაროელში“ აიყვანეს. ჭიათურაში იმ ხანად შოთა რუსთაველის თეატრი იმყოფებოდა გასტროლებზე. მაღაროელთა ერთ-ერთ მატჩს ეროსი მანჯგალაძეც ესწრებოდა. მას ისე მოეწონა სახვაძის თამაში, რომ თბილისში გამომგზავრებისას ახალგაზრდა ფეხბურთელი თან წამოიყვანა და დიღმის ბაზაზე მიხეილ იაკუშინსა და ავთანდილ ღოღობერიძეს წარუდგინა. მაშინ ბარე 50 ბიჭი შეამოწმეს გამოცდილმა მწვრთნელებმა და სხვა სპეციალისტებმა.

— მოუთმენლად ველოდით გამოცდის შედეგებს, — იგონებს თამაზ სახვაძე — და აი, ორსართულიანი შენობიდან „ბასა“ გამოვიდა, ფეხბურთელის ფორმის სრული კომპლექტი გამოიტანა, ჩეხოსლოვაკიური პრიალა შავი ბუცებით, და მე გადმომცა — „დინამოში“ ჩაგრიცხეთო.

მრავალი მატჩი ჩაატარა სპორტის ოსტატმა თამაზ სახვაძემ თბილისის „დინამოში“, რამდენიმეჯერ ძირითად შემადგენლობაშიც გამოვიდა. საიმედოდ, აზრიანად, ლამაზად თამაშობდა. დინამოელთა პირველი დიდი გამარჯვების ჟამს — 1964 წელს, როდესაც სათადარიგო შემადგენლობაც ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თამაზ სახვაძეს სხვებთან ერთად ოქროს მედალი გადაეცა. მართლაც შესანიშნავი დუბლიორები ჰყავდა მაშინ „დინამოს“ — მეკარე ნოდარ ლეჟავა, მცველები თამაზ სახვაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვლადიმერ კოპინი, ვახტანგ რეხვიაშვილი, ნახევარმცველები გოჩა ხარტიშვილი, ალექსი ილიადი, თავდამსხმელები ვახტანგ ძიძიგური, ელგუჯა ხუციშვილი, ნომალ მაისურაძე, დემური ვეკუა. დუბლიორებს ალიოშა კოტრიკაძე ავარჯიშებდა.

სარედაქციო არქივში ერთი სურათი ამოვაჩინეთ — 21 წლის წინაა გადაღებული თბილისის სპორტის სასახლეში, დინამოელ ფეხბურთელთა დაჯილდოების დაუვიწყარი ცერემონიალის დროს. იმ ბედნიერთა შორის თამაზ სახვაძეც დგას...

— ისე, გულახდილად რომ ვთქვათ, უფრო მეტხანს უნდა გეთამაშათ და დიდ ფეხბურთშიც თქვენი „რიხიანი“ სიტყვა გეთქვათ.

— გეთანხმებით. მეტი მონდომება და შემართება მმართებდა ვარჯიშის დროს, თუმცა ფეხბურთის სიყვარულით სხვებს არ ჩამოვრჩებოდი. ჯელობაში როდი ვეცით [illegible] ფასი. მერე კი ვნანობთ, მაგრამ...

— თუ არ ვცდებით, თქვენ უკანასკნელი მატჩი კიევის „დინამოსთან“ თბილისში 1966 [illegible] მაშეთ.

— რა დამავიწყებს. ის მატჩი მართლაც უკანასკნელი გამოდგა ჩემთვის დიდ ფეხბურთში. მახსოვს, კიეველი ვიქტორ სერებრიანიკოვი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კარისაკენ დაბალი ბურთი მოაწოდა მძლავრად. რამაზ ურუშაძე ბურთს ხელით შეეხო, მაგრამ იგი აიჭრა და მოულოდნელად მე მომხვდა ფეხზე, ჩემგან კი რიკოშეტით ჩვენივე ბადეში აღმოჩნდა. იქვე სტუმართა მარცხენა გარემარბი ვიტალი ხმელნიცკი იდგა, რომელიც სრულებით არ მიკარებია ბურთს, გოლი კი რატომღაც მას ჩაუთვალეს, თუმცა იგი მე გავიტანე. მატჩი წავაგეთ. დარდით კინაღამ მოვკვდი. მას შემდეგ ფეხბურთს აღარ გავკარებივარ, თუმცა ვეტერანთა მატჩებში დროდადრო მაინც ვმონაწილეობ.

ოთარ ოთარაშვილი.

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ 1964 წლის ჩემპიონატის მატჩი თბილისში. მარცხნიდან: ჯუმბერ ხაჭალია, შოთა იამანიძე, გურამ პეტრიაშვილი, მალხაზ შერგელაშვილი, თამაზ სახვაძე, ჯემალ ხერხაძე, ვახტანგ ჭელიძე და რევაზ ძოძუაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

იუნიორთა საკავშირო ტურნირი ხელბურთში

ვინ გვყავს თადარიგში?

თბილისში, „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში მიმდინარეობს იუნიორ (19-21 წლის) ხელბურთელთა საკავშირო პირველობა. ფაქტიურად ეს არის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კოლექტივების სათადარიგო შემადგენლობათა შეჯიბრება. ახალგაზრდა ხელბურთელთაგან ზოგიერთმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, ზოგიც მალე შეაღებს მის კარს. ამ ტურნირის მიზანიც ხომ სწორედ ის არის, რომ სათანადო შევსება მოუმზადოს ქვეყნის უძლიერეს კოლექტივებს.

თბილისის ტურში გამოდიან მაი და „კუნცევო“ (ორივე — მოსკოვი), ლვოვის ასკ, ჩელიაბინსკის „პოლიოტი“, თბილისის „ბურევესტნიკი“ (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი) და პირველი ლიგის წარმომადგენელი რიგის „ცელტნიეკსი“, რომელიც ტურნირში კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივის ნაცვლად დაუშვეს.

პირველ ტურში ლატვიელმა ხელბურთელებმა „პოლიოტს“ მხოლოდ შესვენებამდე გაუწიეს მედგარი წინააღმდეგობა — 13:13. მეორე ტაიმში კი ჩელიაბინსკელთა უპირატესობა გახდა თვალსაჩინო — 28:22.

საინტერესოდ წარიმართა მოსკოვის გუნდების შეხვედრა. თანაბარ ბრძოლაში საფინალო სასტვენამდე 5 წამით ადრე „კუნცევომ“ 7-მეტრიანი საჯარიმოდან შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა — 29:28 (14:18).

თბილისელ სპორტსმენებს სტარტზე ძლიერი მეტოქე შეხვდათ — ესაა ლვოვის არმიელთა გუნდი, რომელიც შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორია. ამ ერთი წლის მანძილზე ლვოველთა ძირითადი შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა. მასპინძელთა გუნდში დღეს „ამინდს ქმნიან“ მეკარე დავით ხარაძე, გოჩა დემეტრაშვილი, ზაზა ბულია, დავით სარიბეგოვი. დანარჩენები მათზე უმცროსები არიან და გამოცდილებაც ნაკლები აქვთ. თანაც, ობიექტური მიზეზების გამო სრული შემადგენლობით ვარჯიშს მხოლოდ ოციოდე დღის წინ შეუდგნენ. ამის შედეგმა პირველივე შეხვედრაში იჩინა თავი. მართალია, სტუდენტებმა მეორე წუთზე გახსნეს ანგარიში და ერთხანს ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ ამას მოჰყვა 3 გამოუყენებელი „პენალტი“, შეცდომები საკმაოდ მარტივ სიტუაციებში და უშედეგო შეტევები. სტუმრებმა კი რამდენიმე კონტრიერიში წარმატებით განახორციელეს და მე-12 წუთისთვის შესამჩნევად დაწინაურდნენ — 6:2. მეორე ტაიმის შუა ნაწილში ლვოველთა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა — 26:16. დარჩენილ დროში მასპინძლებმა მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება მოახერხეს — 27:30 (12:17). არმიელთაგან გააზრებული და შედეგიანი თამაშით გამოიჩინა თავი ვლადიმერ ჩეკულაევმა, რომელმაც 9 ბურთი გაიტანა. თბილისელთა შორის საუკეთესო იყო გოჩა დემეტრაშვილი. მან 8-ჯერ აიღო მეტოქის კარი.



სამწუხაროდ, მეორე ტურშიც იგივე განმეორდა. „კუნცევოსთან“ მატჩშიც თბილისელებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ ამას კვლავ შეცდომები დაცვაში და უხეიროდ დარტყმული 7-მეტრიანი საჯარიმოები მოჰყვა, ...მე-10 წუთზე მოსკოველები უკვე 4 ბურთით დაწინაურდნენ — 5:1. სტუდენტები ძირითადად ცენტრიდან ცდილობდნენ გოლის გატანას, იშვიათად იყენებდნენ ხაზის მოთამაშეებს, ამიტომ სტუმართა კარგად ორგანიზებულ დაცვას არ უჭირდა შეტევების მოგერიება. ჩინებულად ითამაშა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ ვლადიმერ შვეცოვმა, რომელმაც 4 შვიდმეტრიანი აიღო და ბევრჯერ იხსნა თავისი გუნდი აშკარა გოლისგან. მატჩი „კუნცევოს“ გამარჯვებით დასრულდა — 26:21 (15:9).

აღსანიშნავია, რომ პირველ თამაშში თბილისელებმა 6 „პენალტი“ ვერ გამოიყენეს, „კუნცევოსთან“ მატჩში კი შვიდჯერ გაუშვეს ხელიდან გოლის გატანის ნაღდი შესაძლებლობა.

მეორე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ — „პოლიოტი“ — 34:31 (19:15), მაი — „ცელტნიეკსი“ — 31:23 (16:11).

გუშინ გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები. შედეგები: მაი — „პოლიოტი“ 32:32 (17:16), ასკ — „კუნცევო“ — 27:20 (13:6), „ბურევესტნიკი“ (სპი) — „ცელტნიეკსი“ — 34:26 (20:10).

დღეს ასპარეზობის მონაწილენი ისვენებენ. ხვალ, 14 საათზე, თბილისელი სტუდენტები მაი-ს შეხვდებიან.

გია ახალაძე.

მკითხველი — გაზეთი

სხვადასხვა წესებით

● **რამდენი წონითი კატეგორიაა პროფესიულ კრივში და რა წესით ტარდება პროფესიონალთა შეხვედრები?**

ა. ესართია,
სოხუმი.

— პროფესიულ კრივში სულ სხვადასხვა დროს შემოღებული რვა წონითი კატეგორიაა: „ბუზის“ წონა (51 კგ) — 1910 წელს, „მამლის“ წონა (53,5 კგ) — 1890, „ფრთის“ წონა (57 კგ) — 1889, მსუბუქი (61 კგ) — 1885, ქვესაშუალო (65,5 კგ) — 1892, საშუალო (73,5 კგ) — 1867, ქვემძიმე (79 კგ) — 1903, მძიმე (79 კგ და ზემოთ) — 1889.

პროფესიონალი მოკრივის ხელთათმნის წონა ერთხანს 5 უნცია იყო (უნცია — 30 გრამი). ყოველი რაუნდის ხანგრძლივობაა 3 წუთი, შესვენება კი ერთწუთიანი. რაუნდების რაოდენობას შეთანხმებისამებრ საზღვრავენ ხოლმე. ყოველი რაუნდის მოგებისთვის მოკრივეს ერიცხება ერთიდან 5 ქულამდე, წაგებისთვის — 0. პროფესიული კრივის წესები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. განსხვავებულია რაუნდების რაოდენობაც, ხელთათმანის წონა, ქულების დარიცხვის სისტემა და ა. შ.

ეროვნული

თვის საუკეთესო

მიიწურა ახალი წლის პირველი თვე. წლევანდელი პირველი მედლები და პრიზები გაითამაშეს არა მარტო ზამთრის სპორტის წარმომადგენლებმა, არამედ ისეთი თითქოსდა „საზაფხულო" სახეობების მიმდევრებმა, როგორიცაა, მაგალითად, მძლეოსნობა ან წყალსათხილამურო სპორტი.

მნიშვნელოვან სათხილამურო შეჯიბრებებში კარგა ხანია საქართველოს წარმომადგენლები არ ჩანან. ამიტომ, ზამთრის თვეებში ჩვენი სპორტსმენების მიღწევებით მაინცდამაინც განებივრებული არა ვართ. მიუხედავად ამისა, სწორედ ახალი წლის პირველივე თვიდან გადავწყვიტეთ შემოგვეღო ახალი რუბრიკა — „თვის საუკეთესო სპორტსმენი". ლაურეატების დასახელება თქვენთვის მოგვინდვია, მკითხველო. ჩვენს რესპუბლიკაში იანვრის უძლიერესი სპორტსმენი სწორედ თქვენი წერილების მიხედვით შეირჩევა, შემდეგ კი კონკურსში გამარჯვებულს რედაქციაში მოვიწვევთ და მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ. ეს ინტერვიუც თავისებური იქნება — ლაურეატს თქვენვე შეგიძლიათ შეკითხვები დაუსვათ. როგორ? ახლავე მოგახსენებთ. „ლელოს" მისამართით 10 თებერვლამდე უნდა გამოგზავნოთ ღია ბარათი. მასზე თქვენი კანდიდატის გვართან ერთად ჩაწერეთ ერთი შეკითხვაც, რომელსაც (თუ, რა თქმა უნდა, თქვენმა კანდიდატმა გაიმარჯვა და შეკითხვაც საინტერესო იქნა), ლაურეატს გავუმეორებთ. სწორედ ასე, თქვენივე კითხვებისგან შედგება მომავალი ინტერვიუ. იმისთვის, რომ არჩევანი გაგიადვილოთ, კანდიდატებს ჩვენვე შემოგთავაზებთ. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ არ დაგვეთანხმოთ და იმ სპორტსმენზე შეაჩეროთ არჩევანი, ვინც ჩვენს სიაში ვერ მოხვდა. ამჯერად ეს სია მეტად მოკლე იქნება — ამის მიზეზზე დასაწყისშივე მოგახსენეთ. მნიშვნელოვანი საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში თავი გამოიჩინა საქართველოს სამმა წარგზავნილმა: თბილისელმა საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა ჩინებულად ითამაშა იუგოსლავიაში, ქალაქ იაიცეს ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც ლენინგრადელ ირინა ლევიტინასთან ერთად I-II ადგილები გაიყო; 18 წლის თბილისელმა ველომრბოლელმა ოთარ მჭედლიშვილმა წარმატებით იასპარეზა მოსკოვში გამართულ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში — მან ვერცხლის მედალი მოიპოვა სპრინტში, 1000 მეტრზე გიტში კი მეხუთე იყო. აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე ტყვიის მსროლელ ილია ჩაგანავას მიღწევა — მინსკში გამართულ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ქუთაისელმა სპორტსმენმა ბევრ ტიტულიან მეტოქეს აჯობა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივით I ადგილი დაიკავა.

მაშ ასე, ველით თქვენს წერილებს. ჩვენი მისამართია: თბილისი, 380096, ლენინის ქუჩა 14, გაზეთ „ლელოს" რედაქცია, კონკურსისათვის — „თვის საუკეთესო სპორტსმენი".

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

როცა მეფე მიუსაფარია

ზედიზედ 14 ყაიმის შემდეგ გარი კასპაროვმა მოიგო ორმოცდამეშვიდე პარტია. ეს მოხდა 30 იანვარს, რის შესახებაც უკვე გიუწყებოდით გუშინწინდელ „ლელოში".

გაეცანით ამ პარტიის მსვლელობას.

ორმოცდამეშვიდე პარტია
კარპოვი — კასპაროვი
ლაზიერის გამბიტი

1. მf3 მf6 2. c4 e6 3. d4 d5 4. მc3 c6 5. კg5 მbd7 6. e3 ლa5 7. cd მ:d5 8. ლd2 მ7b6 9. მ:d5 ლ:d2+ 10. მ:d2 ed 11. კd3 a5 12. a4 კb4 13. მფe2 კg4+ 14. f3 კh5 15. h4 0—0 16. g4 კf6 17. b3 კ:d3+ 18. მფ:d3 ეfe8 19. ეac1 c5 20. კf4 ეac8 21. dc მd7 22. c6 bc 23. ეhd1 მc5+ 24. მფc2 f6 25. მf1 მe6 26. კg3 ეed8 27. კf2 c5 28. მd2 c4 29. bc მc5 30. e4 d4 31. მb1 d3+ 32. მფb2 d2. თეთრები დანებდნენ.

ამ შეხვედრაში კასპაროვმა მცირე სიურპრიზი შესთავაზა კარპოვს. მან გამოიყენა კემბრიჯ-სპრინგსის სისტემა, რომელიც ძალიან პოპულარული იყო კაპაბლანკა—ალიოხინის 1927 წლის მატჩში. მოულოდნელმა დებიუტმა კარპოვი დილემის წინაშე დააყენა: მიეღო გამოწვევა და რთულ თამაშში აჰყოლოდა მეტოქეს, თუ განემუხტა პოზიცია. მან მეორე გზა ამჯობინა: გაცვალა ლაზიერები და პარტია პირდაპირ ენდშპილში გადაიყვანა.

შემდგომ კარპოვი მძიმედ თამაშობდა: მეფე ცენტრში დატოვა და ლაზიერის ფრთაზე კიდური პაიკის წინ წაწევა იჩქარა. ეს ყველაფერი კასპაროვმა საუცხოოდ გამოიყენა და ინიციატივას დაეუფლა.

ცენტრში დაყოვნებული კარპოვის მეფე თანდათან მეტევის სამიზნედ იქცა. კასპაროვმა საქმეში ყველა ფიგურა ჩააბა, პაიკიც შესწირა და კარპოვი იძულებული გახდა დაცვაზე ეზრუნა. მისი პოზიცია იმდენად უიმედო იყო, რომ ვერაფერმა უშველა: ვერც პაიკის უკან დაბრუნებამ, ვერც მეფის გახიზვნამ ლაზიერის ფრთაზე. კასპაროვის ფიგურები აქაც მისწვდნენ მას. ყველაფერი დამთავრდა, როცა შავების ცენტრალური პაიკი თეთრების ზანაკში შეიჭრა. მატერიალური ზარალი გარდუვალი იყო. ამიტომ კარპოვმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

მატჩის ანგარიშია 5:2 (+5—2=40) ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ.

საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით მატჩის ორმოცდამერვე პარტია, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, 4 თებერვალს გაიმართება.

მოგებაც და წაგებაც

30 იანვარს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 52-ე ჩემპიონატში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. სათამაშო იყო 6 პარტია.

პირველი გამარჯვება იზეიმა ზ. გურგენიძემ, რომელმაც მ. გურევიჩი დაამარცხა. სამაგიეროდ, მეორე გადადებული პარტია ვ. ეინგორნთან გურგენიძემ წააგო. პირველი მარცხი იწვნიეს ე. გელერმა (ს. სმაგინთან) და ვ. კუპრეიჩიკმა (გ. აგზამოვთან). ვ. ტუკმაკოვმა მოუგო აგზამოვს. დაზავდნენ გურევიჩი და სმაგინი.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ჩემპიონატს შვიდი ლიდერი ჰყავს: ი. ბალაშოვი (მოსკოვი), ვ. გავრიკოვი (ვილნიუსი), ე. ლერნერი, ვ. ტუკმაკოვი, ვ. ეინგორნი (ყველა — ოდესა), ს. ლპუტიანი (ერევანი) და ა. ჩერნინი (ხარკოვი) — 3,5-3,5.

მეტოქე ემზადება

XIII მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა კავშირის ფეხბურთელები 17 აპრილს ბერნში უნდა შეხვდნენ შვეიცარიის ნაკრებს. ორივე გუნდი ინტენსიურად ემზადება ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩისთვის, საბჭოთა ნაკრები ახლა ინდოეთში მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში თამაშობს, ხოლო შვეიცარიის ფეხბურთელები ამას წინათ გაემგზავრნენ სამხრეთ ამერიკას, სადაც ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს გამართავენ კოლუმბიაში, მექსიკაში, აგრეთვე, ამჟამად მექსიკაში მყოფ ბულგარეთის ნაკრებთან, ტურნეს დასასრულს შვეიცარიელები ფლორიდაში შეხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს.

შვეიცარიელთა გუნდში 18 ფეხბურთელია, ნაკრებს ცვლავინდებურად წვრთნის პაულ ვოლფისბერგი. ფეხბურთელთა შორის არიან ენგელი, ვერლი, შლიბაუმი, ჰერმანი, ბრიგერი, სუტერი და სხვ.

მოკლედ

ბანგლორ ოთხშაბათს გაიმართა ორი საინტერესო საერთაშორისო მატჩი ნაკრები გუნდების დონეზე.

ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ პორტუგალიისა და რუმინეთის ფეხბურთელები. თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ — 2:0, მაგრამ შემდეგ რუმინელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

ჰამბურგი. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. დასავლეთგერმანელთა ახალი მწვრთნელი ფ. ბეკენბაუერი ჯერ კიდევ ძიების პროცესშია, რათა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის გუნდი რაც შეიძლება უკეთ მოამზადოს. მან ნაკრებში დააბრუნა ძველი თაობის გამოცდილი ფეხბურთელები — თავდამსხმელი ლიტბარსკი („კიოლნი") და ნახევარმცველი მაგატი („ჰამბურგი"). როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ამ მატჩში უნგრელები უკეთ თამაშობდნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 1:0. გოლი 47-ე წუთზე გაიტანა პეტერმა.

სპორტული თებერვალი

ბატუტზე ხტომა
2-3. საქართველოს თასის გათამაშება. თბილისი.

წყალბურთი.
6-10. საკავშირო ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა (1-6 ადგილი), II წრე, IV ტური. თბილისი.
15-23. საქართველოს პირველობა საერთო ფიზიკურ მომზადებაში 1970-71 წ. წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის. თბილისი.

ძიუდო.
7-10. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.

კალათბურთი
7-13. ჭაბუკთა I რესპუბლიკური სპორტული თამაშები ბიჭებს შორის—წინასწარი შეჯიბრებები. თელავი.
23-27. ჭაბუკთა I რესპუბლიკური სპორტული თამაშები გოგონებს შორის— ფინალური შეჯიბრება. ბათუმი.

ბადმინტონი.
8-10. საკავშირო ჩემპიონატი — პირველი ლიგა. ბათუმი.

მშვილდოსნობა.
8-11. რესპუბლიკური შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე. თბილისი.

სათხილამურო ორჭიდი.
9-11. ჭაბუკთა I რესპუბლიკური ზამთრის სპორტული თამაშები. ბაკურიანი.

თხილამურებით ხტომა.
9-12. ჭაბუკთა I რესპუბლიკური ზამთრის სპორტული თამაშები. ბაკურიანი.

სამთო-სათხილამურო სპორტი.
11-17. ჭაბუკთა I რესპუბლიკური ზამთრის სპორტული თამაშები. ბაკურიანი.
14-17. რესპუბლიკური შეჯიბრება — „ოლიმპიელები ჩვენს შორის"— 1971-72 წ. წ. დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. ბაკურიანი.
23-28. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" პრიზზე. ბაკურიანი.

სათხილამურო რბოლები.
11-16. ჭაბუკთა I რესპუბლიკური ზამთრის სპორტული თამაშები. ბაკურიანი.
27/II-2/III. საკავშირო ჩემპიონატი. ბაკურიანი.

ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა.
23-24. საქართველოს თასის გათამაშება. ფოთი.

შაში.
16-28. საქართველოს ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში ქალთა შორის. თბილისი.
16/II-5/III. საქართველოს ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში ვაჟთა შორის. ბათუმი.

თანამედროვე ხუთჭიდი.
10-14. საქართველოს თასის გათამაშება. თბილისი.

ჭადრაკი.
11-29. საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა. ტყიბული.
16-26. საქართველოს პირველობის ნახევარფინალები ქალთა შორის. საგარეჯო.

თავისუფალი ჭიდაობა.
15-17. ყრუთა საკავშირო შეჯიბრება. თბილისი.

ფრენბურთი.
15-18. ჭაბუკთა I რესპუბლიკური სპორტული თამაშები ბიჭებს შორის — წინასწარი შეხვედრები. თელავი.
22-25. ჭაბუკთა I რესპუბლიკური სპორტული თამაშები გოგონებს შორის — წინასწარი შეხვედრები. სამტრედია.

აკადემიური ნიჩბოსნობა.
16-17. საქართველოს თასის გათამაშება. ფოთი.

ხოგბურთი.
22-27. საკავშირო ტურნირი 1971-72 წ. წ. დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. ქუთაისი.
22-27. საკავშირო ტურნირი 1973-74 წ. წ. დაბადებულ ბიჭებსა და გოგონებს შორის. თბილისი.

სინქრონული ცურვა.
26-27. რესპუბლიკური ღია პირველობა სპეციალურ, ფიზიკურ, ტექნიკურ მომზადებასა და სავალდებულო პროგრამაში 1971 და შემდგომ წლებში დაბადებულ გოგონებს შორის. თბილისი.

ქართული ჭიდაობა.
26-28. საქართველოს პირველობა 1969-70 წ. წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის. გორი.

ქალოსნობა.
26-28. საქართველოს პირველობა — „ოლიმპიელები ჩვენს შორის" — 1969-70 წ. წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის. თბილისი.

ჭადრაკი

ჩერნიგოვში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლუდმილა ზაიცევა (მოსკოვი)—6,5 ქულა (8-დან), მარტა ლიტინსკაია (ლვოვი) — 5,5 (8-დან), ელენა ახმილოვსკაია (ბიჭვინთა), ტამარა მინოგინა (მოსკოვი) და გულნარა სახატოვა (ალმა-ათა) — 5-5 (8-დან). სახატოვას ერთი პარტია გადადებული აქვს.

ნინო გურიელს (თბილისი) და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს სვეტლანა მატვეევას (ფრუნზე) 4,5-4,5 ქულა (8-დან) აქვთ. ქეთევან არახამიამ (თბილისი) 9 შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა მოაგროვა.

ტურნირის ბოლომდე ოთხი ტური დარჩა.

კალათბურთი

ბოლონია. გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „გრანაროლომ" უმასპინძლა მოსკოვის ცსკა-ს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 94:83 (50:49). არმიელთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ენდენი (27 ქულა), ტარაკანოვი (24) და ტკაჩენკო (16).

ბუდაპეშტი. ქალთა ანალოგიურ ტურნირში რიგის ტტტ-ს კალათბურთელებმა დაამარცხეს უნგრეთის ჩემპიონი „ტუნგსრამი" — 76:56 (43:28). ამ მატჩში თავი გამოიჩინა სემიონოვამ (18 ქულა).

ფეხბურთი

საფრანგეთში ჯილდოები გადაეცათ მათ, ვინც თავი გამოიჩინა 1984 წლის საფეხბურთო სეზონში. № 1 მწვრთნელად დაასახელეს ემე ჟაკე (ბორდოს „ჟირონდა"), № 1 მსაჯად — მიშელ ვოტრო, ყველაზე უკეთ ახალგაზრდებთან მუშაობისათვის დაჯილდოვდა „სოშოს" კლუბი, ყველაზე კორექტულ მოთამაშეებად მიიჩნიეს ბოსი და ბატისტონი, ხოლო საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად — ჰალილხოჯიჩი (იუგოსლავია).

ინფორმაცია

ოლიმპიზმის პროპაგანდა ამერიკულად

ამას წინათ ლოზანაში გაიმართა სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი, რომელზეც ვრცელი სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხ. ა. სამარანჩი. მან ხაზი გაუსვა ტელევიზიის სულ უფრო მეტად მზარდ როლს ოლიმპიური იდეალების პროპაგანდაში, მაგრამ ხრაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რატომ გამოიყენა ეი-ბი-სის ტელეკომპანიამ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. არადა, აშშ-ის სატელევიზიო კომპანიებს შორის სულ უფრო მძაფრდება ქიშპობა კალგარისა და სეულის მომავალი თამაშების „ხელში ჩასაგდებად". ღირს კი ამის შემდეგ ლაპარაკი ოლიმპიური იდეალების პროპაგანდაზე?

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06003